საქართველოს მთავრობის

დადგენილება №220

2015 წლის 19 მაისი

ქ.თბილისი

„სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის დებულებისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 იანვრის №86 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მაისის №195 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შეტანილ იქნეს ცვლილება „სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის დებულებისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 იანვრის №86 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მაისის №195 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 06/05/2015, 010220030.10.003.018580) და დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 მუხლი:

„მუხლი 1^1. გარდამავალი დებულება

2015 წლის 1 ივნისამდე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის ტექნიკურ-მატერიალური და ფინანსური მხარდაჭერა.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის პირველი მაისიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**